community

The New Apostolic Church around the world

02/2020/GE

იესო ქრისტეს მსხვერპლი

რედაქციისგან:
ვიყოთ ბედნიერნი იესოს მიმდევრობაში

ღვთისმსახურება:
ქრისტე გაგვათავისუფლებს!

მოძღვრება:
იესო ქრისტეს მსხვერპლის მნიშვნელობა

New Apostolic Church
International

რედაქციისგან

3 იესო ქრისტეს მსხვერპლის მნიშვნელობა

ღვთისმსახურება

4 ქრისტე გაგვათვისუფლებს!

საბავშვო კუთხე

10 ორმოცდაათობის სასწაული

12 სტუმრად სოფისთან ნუმეაში (ახალი კალედონია)

მოძღვრება

14 იესო ქრისტეს მსხვერპლის მნიშვნელობა

Global News

18 ცვლილებები მოციქულთა წრეში

- ოლივერ რიუტენი: Oliver Rütten
- კიიფ სეტიობუდი: Keefe Setiobudi

ვიყოთ ბედნიერნი იესოს მიმდევრობაში

ფოტო: საერთაშორისო ახსე

საყვარელო ერთმორწმუნე და-ძმანო,

ჩვენი უდიდესი სურვილი ღმერთთან და ურთიერთშორის საუკუნო თანაზიარების ქონაა. ამ მიზნით იესო ქრისტემ გარკვეული წინაპირობები შექმნა. მისი სიცოცხლე და სიკვდილი, აღდგომა და ამაღლება, ასევე მისი მეორედ მოსვლა სწორედ ამას ითვალისწინებს. თუ ვუერთგულებთ მას, ის ნამდვილად შეგვიყვანს თავის სასუფეველში.

მაგრამ ამ ცხოვრებაშიც გვინდა, რომ ბედნიერები ვიყოთ. ამას კი იესო ქრისტეს მიმდევრობაში შევძლებთ:

- თავმდაბალი ადამიანი, რომელსაც სიკეთის კეთება აქვს გადაწყვეტილი, რომელსაც უყვარს მოყვასი და ეხმარება მას, ყოველთვის იპოვის თავის ადგილს საზოგადოებაში;
- ღმერთი აკურთხებს მორწმუნეს და მშვიდობას აძლევს მას - რაც არ უნდა მოხდეს, ის მუდამ სიმშვიდეს ინარჩუნებს;
- იესო ქრისტე ვალდებულებების აღების შიშისგან გვათავისუფლებს. იესო მას, ვინც მისი ნების შესრულება გადაწყვიტა, იმის შესაძლებლობასა და წინაპირობებს უქმნის, რომ ბედნიერი მეუღლე და მშობელი იყოს.

იესო ათავისუფლებს იმათ, ვინც მის სიტყვას საქმედ აქცევს. მიღებული გადაწყვეტილების განსახორციელებლად იგი მათ შესაბამის შესაძლებლობასა და წინაპირობებს უქმნის. მისი წყალობით შეგვიძლია ვძლიოთ ბოროტს, დავემსგავსოთ მის ხატებას და გავხდეთ ღირსნი იმისა, რომ მის სასუფეველში შევიდეთ. და, ამდენად, დღესვე შეგვიძლია ვიცხოვროთ ბედნიერად და კურთხევა მოვუტანოთ სხვებსაც.



თქვენი
ჟან-ლუკ შნაიდერი

2020 წლის 5 იანვარს პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა ნოიშატელში (შვეიცარია) ღვთისმსახურება ჩაატარა, რომელიც დასავლეთ აფრიკის ქვეყნების, ბელგიის, საფრანგეთისა და დასავლეთ შვეიცარიის თემებში გადაიცემოდა.

ფოტო: შვეიცარიის ახსე

ქრისტე გაგვათავისუფლებს

გალ. 5, 1

თავისუფლებისათვის გაგვათვისუფლა ქრისტემ. მაშ, იდექით და ნუღარ შეუდგებით მონობის უღელს!

ჩემო საყვარელო და-ძმანო ქრისტეში! დღეს თქვენი ყურადღება მინდა გავამახვილო ერთ განსაკუთრებულ ასპექტზე, ღმერთის ერთ განსაკუთრებულ თვისებაზე: ღმერთი სრულიად თავისუფალია. დღევანდელ მსოფლიოში თავისუფლება პოპულარული თემაა, საერთო ჯამში, კეთილი მიზნებით. თუმცა თავისუფლების სრულქმნილი მაგალითი ღმერთია. ღმერთი სრულიად თავისუფალია. რატომ? არის რა ღმერთი სრულქმნილი, მას არაფერი და არავინ არ სჭირდება. ის ერთადერთი და განუმეორებელია. ღმერთი სრულქმნილია და საერთოდ არაფერი სჭირდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის არასოდეს მოქმედებს ვალდებულების ან რაიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილების გამო; ის სრულქმნილია, მას არაფერი სჭირდება.

ვერავინ აიძულებს მას რამის კეთებას. ღმერთი ყოვლისშემძლე და სუვერენულია. ის არასოდეს მოქმედებს იძულებით. ის ზუსტად იმას აკეთებს, რაც სურს და მისთვის შეუძლებელი არაფერია. სრულყოფილი თავისუფლება ეს არის. ეს რომ რომელიმე ადამიანზე გვეთქვა, ყველას უსიამოვნო გრძნობა გაუჩნდებოდა და იფიქრებდა: „თუ იმას აკეთებს, რაც სურს, მაშინ ის სრულიად არაპროგნოზირებადია“. ეს ღმერთს არ ეხება: ღმერთი უცვლელია, ღმერთი ერთგულია, ღმერთი სანდოა, ის საკუთარი თავის ერთგულია. ამდენად, რასაც ამბობს იგი, აკეთებს კიდეც; ის იცავს თავის სიტყვას. მან მცნებათა გარკვეული რაოდენობა ჩამოაყალიბა, აცხადებს თავის ნებას და სრულიად ერთგულია. დიახ, ის აკეთებს იმას, რაც სურს, მაგრამ ის საიმედოა. ის არ არის ახირებული, მისი მოქმედება არ არის არაპროგნოზირებადი ან თვითნებური, უნდა მივენდოთ მას.

ღმერთს იძულებით კი არ უყვარს, არამედ უყვარს იმიტომ, რომ თავად არის სიყვარული და უყვარს უპირობოდ. ის არ გვეუბნება: „შეგიყვარებ, თუ გააკეთებ ან ამას, ან იმას.“ არა, მას უპირობოდ უყვარს. მას უყვარს ისე, რომ სამაგიერო საზღაურს არ ელოდება. უპასუხებს თუ არა ადამიანი მის სიყვარულს, გააკეთებს თუ არა ამისთვის რამეს, ღმერთს ის მაინც უყვარს. მისი სიყვარული უპირობოა, სრულქმნილი და შეუზღუდავი. ღვთიური სიყვარული მისი თავისუფლების საუკეთესო გამოხატულებაა. ღმერთს უყვარს უპირობოდ, უსაზღვროდ, სამაგიერო საზღაურის მოლოდინის გარეშე. როგორც ითქვა, ღმერთმა ადამიანი თავისუფალი ნებით შექმნა, ადამიანმა კი ეს თავისუფლება ცუდად გამოიყენა. ის დაშორდა ღმერთს, სამოთხეში მან ურჩობა გამოიჩინა და ასე აღმოჩნდა ცოდვის ბატონობის ქვეშ. ის ბოროტის მონა გახდა. და ვინაიდან ღმერთი სიყვარულია, მან ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: „გადავარჩენ ადამიანს.“ სიყვარულით მოავლინა მან მისი ძე იესო ქრისტე ამქვეყნად - არ არის საჭირო ამაში ჩაღრმავება - და იესო ქრისტემ მსხვერპლად გაიღო საკუთარი სიცოცხლე ყველა ადამიანის დასახსნელად, გამონაკლისის და შეზღუდვების გარეშე. ის ნებაყოფლობით შეეწირა მსხვერპლად, რათა ყველამ, ვისაც ამის სურვილი აქვს, თავი დააღწიოს ბოროტის გავლენას. ფაქტი ის არის, რომ ყველას, ვინც იესოს მიმდევრობას გადაწყვეტს, მონათვლა შეუძლია. ნათლობის შედეგად ქრისტე მემკვიდრეობითი ცოდვებისგან გვათავისუფლებს და ღმერთთან თანაზიარების მისასვლელს გვიხსნის. ღმერთის მიზანი ადამიანის მხოლოდ ბოროტის ტყვეობიდან და გავლენისგან გათავისუფლება კი არ არის, არამედ ჩვენი მის სასუფეველში შეყვანაა. მას ჩვენი მის სასუფეველში შეყვანა სურს, სადაც კვლავ იმეფებს სრულყოფილი და საუკუნო თავისუფლება ღმერთში, თავისუფლება, რომელიც შემოქმედების ნაწილი იყო. ადამიანს ღმერთთან თანაზიარება ექნება, სადაც საუკუნოდ და საბოლოოდ გათავისუფლდება. დროის კონკრეტულ შუალედში - ანუ ჩვენი ნათლობის დღიდან, როცა გამოგვისყიდეს და მემკვიდრეობითი ცოდვებისგან გაგვათავისუფლეს, იმ დღემდე, როცა უფალი მეორედ მოვა, რათა სრულყოფილ და საუკუნო თავისუფლებაში შეგვიყვანოს, - შედგება პროცესი, რომელსაც მე „გამათავისუფლებელ პროცესს“ ვუწოდებ: ქრისტეს სურს გაგვათავისუფლოს, რათა ისეთი თავისუფლები გავხდეთ, როგორი თავისუფალიც კაცი-იესო ქრისტე იყო მისი ამქვეყნიური ცხოვრების დროს. დევიზი, რომელსაც. სამხ. მოციქულებთან შეთანხმებით წლევანდელი წლისათვის გთავაზობთ არის: ქრისტე გაგვათავისუფლებს.

> ღმერთი თავისუფალია, მაგრამ თვითნებურად არ მოქმედებს. ის ღირსია ერთგულების და თავადაც ერთგულია.

მას სურს გაგვათავისუფლოს, რათა საუკუნო თანაზიარება გვქონდეს მასთან. წელს, დღესვე, ძირითადი აქცენტი ამ დევიზზე გავაკეთოთ: „ქრისტე გაგვათავისუფლებს“. მისი მიზანია, ისეთი თავისუფლები გაგვხადოს ჩვენი მიწიერი ცხოვრების პერიოდში, როგორი თავისუფალიც განკაცებული ქრისტე იყო. იესო ქრისტე თავისუფალი იყო, რამეთუ ამბობდა: „ეშმაკი, ჩემი მოწინააღმდეგე, მოდის, მაგრამ ვერაფერს დამაკლებს, მას არანაირი უფლება არ აქვს ჩემზე.“ რატომ? იმიტომ, რომ იესო ქრისტეს არასოდეს ჩაუდენია ცოდვა. ამიტომაც ბოროტს, ეშმაკს - ან რაც არ უნდა დავუძახოთ მას - არანაირი უფლება არ აქვს მასზე, იესოს არასოდეს შეუცოდავს.

იესო ქრისტე, როგორც კაცი, თავისუფალი იყო ყოველგვარი ცოდვისგან. ცხადია, ჩვენს შემთხვევაში ეს არ გამოდის. რაც არ უნდა გავაკეთოთ, ვერ ვახერხებთ, რომ ცოდვისგან თავისუფლები ვიყოთ, რაც დრამატული სულაც არ არის, რადგან ქრისტეს ჩვენი გათავისუფლება სურს. ის წყალობასა და მიტევებას გვანიჭებს და გვეუბნება: „თუ მოხვალ

ჩემთან და მირწმუნებ, თუ მოინანიებ და მიტევებას მთხოვ, გაგათვისუფლებ დანაშაულისგან, გავაუქმებ შენს ცოდვებს და, ამდენად, ეშმაკს აღარ ექნება უფლება შენზე. ჩემი წყალობა სრულყოფილი წყალობაა. და როგორც კი ცოდვებს მოგიტევებ, ეშმაკს აღარ ექნება უფლება შენზე და შენ კვლავ სრულიად თავისუფალი ადამიანი გახდები, ყოველგვარი ცოდვისგან თავისუფალი.“

ქრისტე თავისუფალი იყო ყოველგვარი ცოდვისგან, მას ჩვენი გათავისუფლებაც სურს. იესო ქრისტე თავისუფალი ადამიანი იყო, ის სრულიად ფლობდა საკუთარ თავს. ცხადია, ის ისეთივე ადამიანი იყო, როგორც ჩვენ ყველა. მასაც ისეთივე ფიზიკური და მორალური მოთხოვნილებები ჰქონდა, როგორც ჩვენ. ის ისეთივე ადამიანი იყო, როგორც ჩვენ ყველა, მაგრამ ის თავის თავის უფლად დარჩა. მან ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: „მე მამაჩემის საყვარელი ძე ვარ. ჩემთვის მთავარი მამაჩემთან თანაზიარების ქონაა. ჩემთვის მნიშვნელოვანია, დავემორჩილო მამას. ჩემთვის მნიშვნელოვანია და ასევე ჩემი მიზანია, წავიდე მამასთან. პირველ რიგში, მე მამაჩემის ძე ვარ.“ მოვიდა ეშმაკი და აცდუნებდა მას, ჰპირდებოდა რა ფულს, ძალაუფლებასა და პატივ-დიდებას; მას ჩვეულებრივი ფიზიკური და ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაც სურდა. მაგრამ იესო ყოველთვის ცდილობდა, მკაფიოდ გაერჩია ეს ყოველივე ერთმანეთისგან: „მოიცადეთ! დიახ, რა თქმა უნდა, მეც მაქვს მოთხოვნილებები, სხვადასხვა მოთხოვნილებები, დავალება მაქვს შესასრულებელი და ამისთვის რაღაც-რაღაცეები მჭირდება ... მაგრამ ყველაფერზე მაღლა მამაჩემთან თანაზიარებაში დარჩენის სურვილი დგას. პირველ რიგში, მე მამაჩემის ძე ვარ და მასთან დაბრუნება მინდა.“ სწორედ ამიტომ ის არასოდეს ყოფილა მონა მისი კაცებრივი ბუნებისა. ის საკუთარი თავისა და მისი ფიზიკური მოთხოვნილებების უფლად დარჩა. ის არასოდეს დამორჩილებია ყოფით მოთხოვნილებებს.

ქრისტეს ჩვენი გათავისუფლება სურს. ცხადია, რომ ჩვენც გვაქვს გარკვეული მოთხოვნილებები ცხოვრებაში. უნდა ვჭამოთ, უნდა დავლიოთ, გვჭირდება ტანისამოსი, გვჭირდება საკუთარი თავის რეალიზება ცხოვრებაში. აბსოლუტურად გამართლებული მოთხოვნილებებია. გვჭირდება წარმატება, გვინდა, რომ ცხოვრებით კმაყოფილები ვიყოთ, ჩვენი ადგილი გვქონდეს საზოგადოებაში და რაღაც-რაღაცეების განხორციელებაც შევძლოთ; ეს სრულიად ლეგიტიმურია. ქრისტეს კი ჩვენი დახმარება სურს იმაში, რომ მატერიალურის, ჩვენი კაცებრივი ბუნების, მონები არ გავხდეთ. ქრისტე პრიორიტეტების სწორად დასახვას გვასწავლის. იგი გვარიგებს, მხარში გვიდგას და გვაძლიერებს. ის იმის გაცნობიერებაში გვეხმარება, რომ, მართალია,

თუ ერთგული ვიქნები, მაშინ მეცოდინება, თუ საით წამიყვანს ჩემი გზა.

გვჭირდება ესა თუ ის, მაგრამ ფრთხილად უნდა ვიყოთ! არ შეიძლება, რომ ამ მოთხოვნილებებმა ჩვენი ღვთისშვილობა ეჭვქვეშ დააყენოს. მათ არ უნდა დააზიანონ ჩვენი ურთიერთობა ღმერთთან.

საყვარელო, ძმებო, საყვარელო დებო, შეიძლება ეს რთული მოსასმენია, მაგრამ განა სინამდვილე არ არის?! დაფიქრდი ამაზე! ვინ ხარ შენ? ჩვენ არჩევანი გავაკეთეთ. ჩვენ ღვთის შვილები ვართ, საკუთარი თავი ქრისტეს მივანდეთ და დავდეთ პირობა, რომ გავყვებოდით მას. მოდით, თანაზიარება ვიქონიოთ ღმერთთან და მის სასუფეველში შევიდეთ. ეს მეც მეხება. არ შეიძლება, რომ ჩემმა კაცებრივმა ბუნებამ, ჩემმა მოთხოვნილებებმა, ჩემმა ვნებებმა, ჩემმა სურვილებმა საკუთარი თავის უარყოფამდე მიმიყვანოს. მე ის ვარ, ვინც ღმერთს ერთგულება შეჰფიცა, ვისაც ღმერთთან თანაზიარებაში ყოფნა სურს. არ შეიძლება, რომ ჩემმა მოთხოვნილებებმა, ჩემმა სურვილებმა, ჩემმა ვნებებმა - ყველაფერმა, რისგანაც ჩემი ყოფა შედგება - განაპირობოს ის, ან დამავალდებულოს, რომ უარვყო საკუთარი თავი. ქრისტეს სურს გაგვათავისუფლოს, რათა საკუთარ თავზე გაბატონება შევძლოთ. იესო ქრისტე თავისუფალი ადამიანი იყო, ის სრულიად ფლობდა საკუთარ თავს. მან ერთხელ და სამარადჟამოდ გადაწყვიტა: „მე მამისაგან მოვედი და მამასთან მივდივარ. თქვენ კი, რაც გინდათ, ის ჰქენით. მე

მამასთან ვბრუნდები და ვერავინ შემიშლის ამაში ხელს.“

მან იცოდა, რა იყო გლოვა, ტანჯვა, თავდასხმა, ღალატი, ის დაჭრეს, აწამეს, მოკლეს, თავს გადახდა ყოველივე, რისი წარმოდგენაც კი ადამიანს შეუძლია, მაგრამ უშედეგოდ. მან იცოდა: „ღმერთი მიხსნის. ღმერთი იზრუნებს იმაზე, რომ მასთან დაბრუნება შევძლო.“ იესო ენდობოდა ღმერთს. რა თქმა უნდა, მასაც ეშინოდა ტანჯვის, ეშინოდა სიკვდილის. ეს სახარებებშია მოცემული. იესო უშფოთველად არ შედგომია სიკვდილის გზას, მსუბუქად არ შეუხედავს მისთვის და არ უთქვამს: „აჰ, არაუშავს. ეს უნდა გავიარო, მაგრამ ...“ არა, არა, მას ეშინოდა ტკივილის, ეშინოდა სიკვდილის. ის კაცი იყო, ნამდვილი ადამიანი, როგორც მე და შენ. მაგრამ დარწმუნებული იყო: „ღმერთი მიხსნის. ვუერთგულებ მას, რაც იმის რწმენას მომცემს, რომ მამის სასუფეველში შევალ.“

ის არ ემორჩილებოდა არსებულ გარემოებებს და არც ტანჯვას. ის ბოლომდე თავისი ბედ-იღბლის უფალი დარჩა. ქრისტეს სურს ისეთი თავისუფლები გაგვხადოს, როგორიც თვითონ იყო. ჩვენც განვიცდით ბოროტის მხრიდან განსაცდელს, ტანჯვასა და თავდასხმებს. ჩვენ იმ ბოროტის მსხვერპლნი ვართ, რომელიც ჩვენს გარშემოა, ჩვენ ქრისტეს მტერთან გვაქვს საქმე, ყველა მისი მცდელობებით, დაგვაშოროს ღმერთს. მაგრამ ჩვენ ვიცით: „თუ ერთგული დავრჩები, ღმერთი თავის სასუფეველში შემიყვანს და გამომისყიდის.“ მასზე ძლიერი არავინ არის. დაე, თუნდაც უსიამოვნო იყოს ეს განსაცდელი, დაე, თუნდაც გვეშინოდეს ტანჯვისა და სიკვდილისა, ჩვენი შეგნება და რწმენა ხომ მტკიცე რჩება - ჩვენ ვიცით: „თუ ერთგული დავრჩები, მეცოდინება, თუ საით მივყავარ ჩემს მიერ არჩეულ გზას. მას მიზნის მიღწევამდე გავყვები.“ ამის ცოდნა წარმოუდგენელ რწმენას გვანიჭებს. თუ ყველა იმაზე იშფოთებს, თუ რანი გავხდებით, რა იქნება ათ წელიწადში, საით მივდივართ, მაშინ გეტყვით: „მე ვიცი, საით მივდივარ - ღვთის სასუფეველში.“ რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ ავად გავხდე, მოვკვდე კიდეც - ასეთი რამ არავის მოსწონს, ეს საშინელებაა; ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია - მაგრამ, ყოველივე ამის მიუხედავად, მე ვიცი, საით მივდივარ.

იესო ქრისტე სრულიად თავისუფალი ადამიანი იყო, მოყვასთან მიმართებაშიც. მან დაუჯერებელი თავისუფლება დაამტკიცა. მას საერთოდ არ აღელვებდა ის, თუ რას იტყოდა უმრავლესობა. ტრადიციებიც ქარს გაატანა. მხოლოდ ერთი რამის სჯეროდა: ადამიანები, ღმერთის თვალით დანახულნი, არიან ღვთის საყვარელი სულები, სულები, რომელთა გადარჩენაც მას სურს. ის სრულიად თავისუფალი იყო ქალებთან მიმართებაშიც; კიდევ ერთხელ გავუსვათ ამას ხაზი. იმჟამად ეს რევოლუციური საქციელი იყო. დიახ, რაბბის, მოძღვარს, ქალი მოწაფეები ჰყავდა, რაც იმ პერიოდისათვის სრულიად უჩვეულო რამ იყო. ქალი მოწაფეების ყოლა იუდაურ სამყაროში წარმოუდგენელი იყო. მას მდიდარი ქალებიც კი აფინანსებდნენ. ის სრულიად თავისუფალი იყო მათთან მიმართებაში, ეს იყო სრულიად ახალი რამ, რასაც ჩვენ დღეს საერთოდ არ ვაფასებთ. ეს რევოლუციური იყო. ის მკვდრეთით აღდგა და პირველები, ვისაც იგი ეჩვენა და მისი აღდგომის უწყების დავალება მისცა, ქალები იყვნენ. ამ კუთხითაც იგი სრულიად თავისუფალი იყო. სრულიად თავისუფალი იყო იგი ბავშვებთან მიმართებაშიც. იმ ეპოქაში ბავშვებს ზედ არ უყურებდნენ და არაფრად აგდებდნენ. ის კი თავისთან უხმობდა მათ, როცა ამის შესაძლებლობა არსებობდა. მისი დამოკიდებულება უცხოების მიმართაც სრულიად თავისუფალი იყო: მაგ., მან იზრუნა ერთ ბერძენ ქალზე, სამარიელ ქალზე, რომაელ ასისთავზე. მისთვის სულერთი იყო, რას ფიქრობდნენ სხვები ან რას ამბობდნენ; ის ხედავდა სულს, რომელიც უნდა გადაერჩინა. სრულიად თავისუფალი იყო იგი ცოდვილის მიმართაც. ის უგულვებელყოფდა სხვების აზრს. მისთვის მთავარი იყო სული, რომლის გადარჩენაც ღმერთს სურდა - აქვე გავიხსენოთ ზაქე. იყო რა სრულიად თავისუფალი, სხვების მითქმა-მოთქმა არ ანაღვლებდა მას; მოყვასს ის ღმერთის თვალით უყურებდა. ქრისტეს სურს ისეთი თავისუფლები გაგვხადოს, როგორიც თვითონ იყო. ის გვასწავლის, გვიყვარდეს ისე, როგორც თვითონ უყვარდა.

იესო ქრისტე თავისუფალი ადამიანი იყო, ის ბოლომდე ენდობოდა ღმერთს და იცოდა: „მამა მომცემს ყველაფერს, რაც მისია. ყველაფერი რაც მისია, ჩემიც არის.“ მან კარგად იცოდა ამ

სიმდიდრის შესახებ და ამიტომაც იყო სრულიად თავისუფალი. მან ზუსტად იცოდა: „თუ ახლა ვინმე მაწყენინებს, არაფერს მომცემს მისთვის სამაგიეროს გადახდის სურვილი ან ბოროტების ბოროტებით მიგება.“ ის უაღრესად ბედნიერი იყო იმით, რაც მამამ უკვე მისცა და რასაც კიდევ მისცემს. ამდენად, იცოდა, რომ დამნაშავეზე შურისძიება და მისი დასჯა არაფერის მომტანია. ფლობდა რა იგი ამ სიმდიდრეს, ყოველთვის მზად იყო მიეტევებინა, იმათთვისაც კი, ვინც ჯვარს აცვა იგი. „მამაო, მიუტევე ამათ, რადგანაც არ იციან, რას სჩადიან.“ მას ჰქონდა ეს თავისუფლება, რამეთუ იცოდა: „მამა ყველაფერს მომცემს; დაისჯება ვინმე თუ არა, ეს ჩემთვის არაფრის მომტანია. მე ყველაფერი მაქვს.“ მაშასადამე, ის თავისუფალი იყო იმისთვისაც, რომ მიეტევებინა. ქრისტეს ჩვენი გათავისუფლება სურს.

წინა წლის დევიზი იყო: „მდიდარი ქრისტეში“. ეს კარგად გვახსოვს და გულში შევინახავთ მას. და თუ ჭეშმარიტად გავაცნობიერებთ, რამხელა სიმდიდრეს გვანიჭებს ღმერთი, მაშინ მას ჩვენი შურისძიების წყურვილისგან გათავისუფლებაც შეუძლია. იცით ალბათ ხალხი, ვისაც შურისძიება სურს - შურისძიების დაუოკებელი წყურვილი ჰკლავთ, როცა ერთს მეორის დასჯა უნდა, უნდა, რომ ღმერთმა გაანადგუროს იგი, რომ დაიტანჯოს და დაისაჯოს ... ზოგჯერ შურისძიების სურვილი დაუოკებელია, ვინაიდან, რაც არ უნდა მოხდეს, შურისმაძიებლები ბოლომდე ვერ კმაყოფილდებიან და ბოლოს ვამჩნევთ, რომ ადამიანები, რომლებიც შურისძიებისკენ ისწრაფვიან, ამ სულის მონები ხდებიან. ისინი ვერ პოულობენ შვებას. ის, რომ დამნაშავე კანონით ისჯება, სასამართლო უსჯის მას, სხვა საქმეა. ეს საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროს განეკუთვნება; ეს წესი და კანონია. ჩვენ კი ღმერთთან ჩვენს ურთიერთობაზე ვლაპარაკობთ. თუ ღმერთს დამნაშავის დასჯას და მის ხსნიდან გარიცხვას არ ვთხოვთ, მაშინ მზად ვიქნებით, მივუტევოთ მას, ვინაიდან არაფერს გვარგებს ვინმესთვის ბოროტების გაკეთება ან ბოროტების ბოროტებით მიგება. მერე კი მივხვდებით: „ყველაფერი მაქვს. შურისძიების წყურვილი ხომ სულიერ სიმშვიდეს, შინაგან უშფოთველობას მართმევს. მაგრამ თუ მივუტევებ, მაშინ ჭეშმარიტად თავისუფალი ვიქნები.“ ქრისტეს სურს, ისეთი თავისუფლები გაგვხადოს, როგორიც თვითონ იყო. შენ ისეთი მდიდარი ხარ ქრისტეში, რომ შეგიძლია ეს ფუფუნება გქონდეს. ნუ გახდები შურისძიების სულის მონა. ქრისტე ენდობოდა ღმერთს: „ღმერთი მომცემს ყველაფერს, რაც მჭირდება.“

ის თავისუფალი იყო ნებისმიერი შიშისა და ძრწოლისგან. ამდენად, ის სრულიად თავისუფალი იყო, რათა ღმერთისა და მოყვასისათვის ემსახურა. ის თავისუფალი იყო მსახურებისათვის. იგი არ ანგარიშობდა სარგებელს, როცა ვინმეს რაღაცას უკეთებდა. „თუ მე მას ამას გავუკეთებ, სამაგიეროდ რას მივიღებ? თუ დავეხმარები მას, ის რას გააკეთებს ჩემთვის? რა მოგებას ვნახავ, სარგებელს მივიღებ?“ არა, ის სრულიად თავისუფალი იყო: „მე ვმსახურებ იმიტომ, რომ ასე მსურს.“ ის მსახურობდა იმიტომ, რომ საკუთარი თავის გამო შიში აღარ ჰქონდა. ის ღმერთს იყო მინდობილი. „ღმერთი მომცემს ყველაფერს, რაც მჭირდება. ასე დანაკარგის შიშის გარეშე შემიძლია ვიმსახურო.“ ეს კიდევ ერთი თავისუფლებაა, რომლის მოცემაც ქრისტეს ჩვენთვის უნდა. თუ სრულ ნდობას გამოვუცხადებთ ღმერთს, იგი მოგვცემს ყველაფერს, რაც ნამდვილად გვჭირდება: „იკმარე ჩემი მადლი და წყალობა.“ ამდენად, ვიქნები სრულიად თავისუფალი იმისათვის, რომ ვიმსახურო. აღარ მექნება შიში საკუთარი თავის გამო, აღარ დამჭირდება იმის ანგარიში, თუ რა სარგებელს მივიღებ, როცა ღმერთისათვის ან მოყვასისათვის გავაკეთებ რამეს. ვინც ანგარიშობს ამას, ის მონაა. მაგრამ ვინც ღმერთს არის მინდობილი, იცის მისი სიმდიდრის შესახებ და, ამდენად, სრულიად თავისუფალია მსახურებისთვის.

და დასასრულ, ბოლო პუნქტი: სხვადასხვა ადგილას სახარებებში წერია, რომ იესო თავისუფლად და ღიად ლაპარაკობდა. კიდევ ერთხელ: ის სულაც არ წუხდა იმის გამო, თუ რა რეაქცია ექნებოდათ სხვებს. ის სახარების, მისი მამის ნების, საუწყებლად მოვიდა, აწყობდა ეს ვინმეს თუ არა. მან თქვა: „საქმე ასეა და არა სხვაგვარად!“ რა თქმა უნდა, ამან ბევრი უსიამოვნება მოუტანა, ვინაიდან ხალხი არ ეთანხმებოდა მას. ფარისევლები კი ნამდვილად განარისხა. მაგრამ იესოს ეს არ ანაღვლებდა. ეს არის ჭეშმარიტებაო, ამბობდა იგი, ანდა ასეთია მამაჩემის ნებაო. ამ თვლასაზრისითაც სურს იესოს ჩვენი გათავისუფლება. ახლა ჩვენ აქ, შვეიცარიაში, ვიმყოფებით - და რაც უფრო

მნიშვნელოვანია, შვეიცარიის ფრანგულ ნაწილში -, სადაც ყველაფერი მშვიდობიანად მიდის. ყველა ადამიანი თავაზიანი და მეგობრულია ... და მაინც, დღესდღეობით ყველას აქვს იმის უფლება, თქვას, რაც უნდა. შეუძლიათ საჯაროდ გამოხატონ ყველაზე დაუჯერებელი იდეები - ახლა მე დიპლომატიურად ვამბობ სათქმელს -, ყველაზე უადგილო მოსაზრებები და უდიდესი სისულელეები, როცა ამბობენ: „დიახ, ეს უბრალოდ გამოხატვის თავისუფლებაა; ყველას აქვს უფლება, თქვას ის, რაც უნდა." მე პატივს ვცემ ადამიანის ამ უფლებას. მაგრამ ისიც უნდა მიიღონ, როცა ჩვენ, ქრისტიანები, ვამბობთ იმას, რასაც ვფიქრობთ; როცა ქრისტიანული ღირებულებებისადმი ჩვენს პატივისცემასა და სიყვარულს ვიუწყებით, ჩვენც უნდა გვცენ პატივი ამის გამო. ცხადია, შვეიცარიაში ეს პრობლემა არ არის, მაგრამ სხვა ქვეყნებში პრობლემაა. ყველა იმას ამბობს, რასაც ფიქრობს, მაგრამ როცა ქრისტიანი ამბობს: „შეჩერდით, მოიცადეთ. მოყვასის სიყვარული, მიტევება, პატიოსნება, შრომა, ეს ყველაფერი ხომ მნიშვნელოვანია", ამ დროს თუ არ დახვრიტეს, მადლობელი უნდა იყოს. ასე არ შეიძლება! ამ შემთხვევაშიც სურს ქრისტეს ჩვენი გათავისუფლება და გამხნევება, როცა გვეუბნება: „იუწყე შენი მიზნების შესახებ. არ გთხოვ, რომ მთელი მსოფლიო მოაქციო, მაგრამ სახარების ხმა უნდა გაიგონონ." ვიღაცამ ხომ უნდა თქვას: „არა, ასე არ გამოვა, ამის თქმა არ შეიძლება. არ ვარ თანახმა; ასე მოქცევა არ შეიძლება. ეს აზრი შეუთავსებელია სახარებასთან. მე მიყვარს იესო და მივსდევ მას. და გთხოვთ, რომ პატივი სცეთ ჩემს რწმენას." არ ვაპირებ, გავხდე პოლიტიკური ლიდერი ან რევოლუციური საქმეები ვაკეთო, მაგრამ - მაპატიეთ, რომ ასე პირდაპირ ვამბობ, - როგორც ახალსამოციქულო ეკლესიის პასუხისმგებელი პირი, ვფიქრობ, მაქვს უფლება ვთქვა, რომ ჩვენც ველოდებით მსოფლიოსგან ჩვენი რწმენისა და მრწამსის პატივისცემას. ადამიანისათვის თავისუფლება მხოლოდ მაშინ იარსებებს, თუ მეორე ადამიანიც თავისუფალი იქნება. ყურადღებით ვიყოთ, რომ სახარების ხმა კვლავაც ისმოდეს. ფარ-ხმალს ნუ დავყრით და ნუ შეგვეშინდება ქრისტეს მიმდევრობის. აქაც სურს ქრისტეს ჩვენი გათავისუფლება. ნუ შევდრკებით და ღიად განვაცხადოთ სახარებისა და მისი ღირებულებებისადმი ჩვენი პატივისცემა და სიყვარული.

ქრისტე თავისუფალი იყო. წყლით ნათლობის მეშვეობით მემკვიდრეობითი ცოდვებისგან გაგვათავისუფლა მან. ქრისტეს სურს ისეთი თავისუფლები გაგვხადოს, როგორიც თვითონ იყო. სურს მოგვანიჭოს წყალობა, გაგვათვისუფლოს ცოდვის ტვირთისგან, რაც ღმერთთან ჩვენს ურთიერთობას აზიანებს და უკმაყოფილებას, პესიმიზმსა და მწუხარებას იწვევს. ქრისტეს ჩვენი გათავისუფლება სურს. არ შეიძლება, რომ ჩვენი კაცებრივი ბუნების მონებად ვიქცეთ. ცხადია, გვაქვს ადამიანური მოთხოვნილებებიც, მაგრამ, მოდით, უპ. ყოვლისა, დავრჩეთ ისეთები, როგორებიც ვართ. ჩვენ ღვთის შვილები ვართ, იესოს მივანდეთ საკუთარი თავი, ავიღეთ მიმდევრობის ვალდებულება და არავითარ შემთხვევაში არ ვიტყვით უარს ყოველივე ამაზე, რაც არ უნდა მოხდეს, ყველა დანარჩენი მეორეხარისხოვანია. ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ღვთის სასუფეველში შესვლა გვინდა. ქრისტეს სურს, მოგვანიჭოს თავისუფლება, სურს, რომ საკუთარი ბედ-იღბლის ბატონ-პატრონები ვიყოთ. ვერც სიკვდილმა, ვერც ტანჯვამ, ვერც ჯაფამ და ვერც განსაცდელმა ვერ უნდა შეგვიშალოს ამაში ხელი. თუ ქრისტესთან დავრჩებით, ვერაფერი ვერ შეგვიშლის ხელს მიზნის მიღწევაში. ქრისტეს სურს, სხვებთან მიმართებაშიც გაგვათვისუფლოს; ეს არ ნიშნავს იმას, რომ გულუბრყვილოები ან სუსტი ადამიანები ვართ, პირიქით, ძლიერები ვართ და გვაქვს იმის უნარი, რომ გვიყვარდეს მოყვასი, რამეთუ ვიცით: „ღმერთს მისი გადარჩენა სურს. მე პატივს ვცემ მას. ის არის კაცი, სული, რომლის გადარჩენაც ღმერთს სურს. იესო მისთვის მოკვდა." იესოს სურს, სრულიად გაგვათავისუფლოს სხვებთან ურთიერთობაში, სურს გაგვათავისუფლოს, რომ ჩვენებურად ვიმსახუროთ. ჩვენ თავისუფლები ვართ, შეგვიძლია ანგარების, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ვიმსახუროთ; ამის უნარი ნამდვილად გვაქვს. ჩვენ თავისუფალნი ვართ მიტევებაშიც, ვინაიდან ვიცით, რომ შურისძიება, სხვათა დასჯა კმაყოფილებას არ მოგვიტანს, უფრო ხელს შეგვიშლის. გვსურს მივუტევოთ და ამას ღიად და თავისუფლად ვაკეთებთ, რამეთუ იესოს თანამოაზრენი ვართ. ქრისტესთან ერთად სრულიად თავისუფალნი შეგვიძლია ვიყოთ.

პირველმოციქულის ღვთისმსახურებიდან

ძირითადი აზრები

იესო ქრისტე იმგვარად გაგვათვისუფლებს, რომ გამოგვისყიდის დანაშაულისა და ცოდვის მონობისგან, უპირობო სიყვარულისა და სიკეთის კეთების უნარს მოგვცემს, შეგვაძლებინებს, რომ საკუთარი დანიშნულების ბატონ-პატრონი ვიყოთ, შეგვიყვანს თავის დიდებაში.

ორმოცდაათობის სასწაული

მოციქულთა საქმე 2, 1-47-ის მიხედვით

აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს, სამებაზე, მოციქულები ცოლებთან და იესოს მიმდევარ კაცებთან ერთად ერთ სახლში იყვნენ შეკრებულნი იერუსალიმში. ისინი სულიწმიდის ძალის მათზე გარდამოსვლას ელოდებოდნენ, როგორც იესო შეჰპირდა მათ.

უეცრად ზეციდან ქარიშხლის მსგავსი გრგვინვა გაისმა და მთელი სახლი აავსო. ცეცხლის მსგავსი ენები მოეფინა თვითეულ მათგანს და მოწაფეები სულიწმიდით აღივსნენ. სულიწმიდამ ისინი სხვადასხვა ენებზე აამეტყველა და დიად ღვთიურ საქმეებზე აალაპარაკა. ამ დროს ქალაქში მომლოცველები იმყოფებოდნენ მესოპოტამიიდან, აზიიდან, ეგვიპტიდან, ლიბიიდან და რომიდან. ისინი იერუსალიმში იმისათვის იყვნენ ჩამოსულნი, რომ ტაძარში მსხვერპლი აღევლინათ. ბევრი მომლოცველი იმ სახლთან მივიდა, სადაც სულიწმიდით აღვსილი მოწაფეები ელაპარაკებოდნენ მათ. ამავე დროს უნცნაური რამ დაასკვნეს: ნაუწყები ყველას თავის ენაზე ესმოდა. მსმენელები ერთმანეთს ეკითხებოდნენ: „ასეთი რამ განა შეიძლება? ეს კაცები ხომ გალილეველები არიან. როგორ ალაპარაკდნენ ასე უეცრად სხვადასხვა ენებზე?“ ზოგი კი ფიქრობდა, რომ მოწაფეები მთვრალები იყვნენ. ამ დროს პეტრემ აიღო სიტყვა და თქვა: „აქ არავინ არის მთვრალი. დღეს დიდი სასწაული მოხდა. ღმერთმა სულიწმიდა მოგვივლინა, როგორც წინასწარმეტყველთა პირით აღგვითქვა მან.“ ამის შემდეგ იესოზე ილაპარაკა, თუ როგორ აცვეს იგი ჯვარს და როგორ აღდგა მკვდრეთით. პეტრეს ქადაგება გულზე მოხვდათ ადამიანებს. მათ მოციქულებს ჰკითხეს: „რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ?“



პეტრემ მიუგო: „მოინანიეთ
და მოინათლეთ, რათა
მოგეტევოთ ცოდვები და
მიიღოთ სულიწმიდა.“
ბევრმა ირწმუნა პეტრესი
და მოინათლა. ასე შეემატა
ქრისტიანულ თემს კიდევ
3000 კაცი.
ისინი ერთად იყვნენ,
ისმენდნენ მოციქულთა
სიტყვებს, ლოცულობდნენ
და ერთმანეთთან პურს
ტეხდნენ. ყველაფერს,
რაც ებადათ, ერთმანეთს
უზიარებდნენ.

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 06 / 2019 წ.; ილუსტრაციები: მარელა ფორტუნატო

სტუმრად სოფისთან ნუმეაში (ახალი კალედონია)

გამარჯობათ, ჩემო მეგობრებო, მე მქვია სოფი, ვარ ცხრა წლის და ვცხოვრობ ნუმეაში, ახალი კალედონიის დედაქალაქში. ევროპიდან გვირაბის გათხრა რომ შეიძლებოდეს, ჩემს ბაღში ამოყოფდით თავს.



ახალი კალედონია წყნარი ოკეანის სამხრეთით ავსტრალიის ახლოს მდებარეობს. ეს კუნძული 18-ე საუკუნეში ინგლისელმა ზღვაოსანმა ჯეიმს კუკმა აღმოაჩინა. ახალ კალედონიას ეკუთვნის მსოფლიოში ყველაზე დიდი ლაგუნა; 2008 წლიდან იგი იუნესკოს მსოფლიო მემკვიდეობის სიაში შევიდა. იმ ცხოველებისა და მცენარეების მრავალფეროვნება, რომლებიც ამ ლაგუნაში ბინადრობენ, განსაკუთრებულია.

მაგ., აქ არიან დელფინები, ათსობით ფერადი თევზი, კუები და კიდევ ბევრი სხვა ცხოველი. ერთ-ერთი მათგანია ნაუტილუსი, ცოცხალი გადმონაშთი. ეს სახეობა დინოზავრებამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა, 400 მილიონი წლის წინ.

მე თქვენ უკვე მოგიყევით ჩემი ბაღის შესახებ, სინამდვილეში იგი ბებიაჩემისა და პაპაჩემის ბაღია. ისინი ზრუნავენ ჩემზე, რადგან დედაჩემი კარგად ვერ არის და ამჟამად ჩემი მოვლა არ შეუძლია. ბებიაჩემს ივეტი ჰქვია, პაპაჩემს - ევგენი. ის პენსიონერი მღვდელია. მყავს უფროსი და, სახელად ზოელი, და ძმა, სახელად ჟან-ლუკი, მას ჩვენი პირველმოციქულის სახელი დაარქვეს. ისინი არ ცხოვრობენ ჩვენთან, არამედ ბავშვთა სახლში.

ბებიაჩემისა და პაპაჩემის ბაღში რომ მოხვიდეთ, ერთ ნაყოფს გაჩვენებდით, რომელიც აქ იზრდება და ეს არის ბარბადინი. ის შეიძლება გაიზარდოს 30 სმ. სიგრძის, 15 სმ. სისქის და ერთ კგ-ს იწონიდეს. ბარბადინები მარაკუას ოჯახს ეკუთვნის და უხდება ბოსტნეულის სალათს.

ჩვენ სანტა მიქაელში ვცხოვრობთ, ნუმეას გარეუბანში. კვირაობით ეკლესიაში ფეხით მივდივართ, რისთვისაც ნახევარი საათი გვჭირდება.

ცოტა ხნის წინ პირველად გვესტუმრა ჩვენი სამხ. მოციქული რაინერ შტორკი. მას თან ახლდა ჩვენი მოციქული ჟანო ლაიბფრიდი. მათ დასახვედრად ჩვენ, ბავშვებმა, ორი სიმღერა მოვამზადეთ. სიმღერის დროს გული მიფანცქალებდა. მოციქულებს ყვავილების გირლანდები ჩამოვკიდეთ ყელზე, რაც ჩვენი სტუმართმოყვარეობის ტრადიციის ნაწილია. ღვთისმსახურების შემდეგ სამხ. მოციქულთან ერთად სურათი გადავიღე, მე მას თვალისჩინივით ვუფრთხილდები!



წყარო: ჟურნალი „ჩვენ ბავშვები“, გამოცემა 06 / 2019 წ.; სურათები: ბრაგი stock.adobe.com – chocostar, wildestanimal, Unclesam, PUNTOSTUDIOFOTO Lda



ფოტო: ოლივერ რიუტენი / ჩრდ. ჰესენის ქორფენსტერის ფრაგმენტი, დაახ. 1470 წ.

იესო ქრისტეს მსხვერპლის მნიშვნელობა

რა მნიშვნელობა აქვს იესოს სამსხვერპლო სიკვდილს ჩვენთვის? რატომ უნდა დატანჯულიყო და მომკვდარიყო იესო ქრისტე? პასუხები პირველმოციქულ ჟან-ლუკ შნაიდერის მოძღვრებითი წერილიდან.

იესო ქრისტეს მსხვერპლი, ე. ი. იესოს სიკვდილი, ქრისტიანული რწმენის, ცხოვრებისა და ქრისტიანული უწყების არსებით საფუძველს წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით კატეხიზმოში ნათქვამია: „სახარების ბირთვი იესო ქრისტეა, რომელმაც თავისი ჯვარცმული სიკვდილითა და აღდგომით ხსნას დაუდო სათავე. ჯვარი ცოდვილ ადამიანთან ღმერთის შემრიგებლურ საქმეებს განასახიერებს. პავლე მოციქულის სიტყვები, რომლებიც 1. კორ. 1, 18-შია მოცემული, ჯვარცმული სიკვდილის გაგების მთელ დაძაბულობის ველს გვიჩვენებს: ‘ვინაიდან ჯვრის სიტყვა სიშლეგეა წარწყმედილთათვის, ხოლო ჩვენებრ ხსნილთათვის ძალაა ღვთისა.’ ჯვარზე სიკვდილი, როგორც წესი, დამარცხებას ნიშნავდა, მოძულებული და საზოგადოებიდან განკიცხული კაცის სამარცხვინო დასასრულს. მაგრამ, ღვთიური სიბრძნის მიხედვით, მოჩვენებითი დამარცხება აქ სინამდვილეში გამარჯვებაა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მიუწვდომელი სიდიდის გამოსყიდვის საქმეს. ღმერთმა აღდგომით დაამტკიცა, რომ ჯვარცმული ქრისტეა (საქმე 2, 36); მხოლოდ მასშია საუკუნო ხსნა“ (ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმო 3. 4. 9. 9).

იესოს სიკვდილი გოლგოთაზე ახალი აღთქმის საფუძველი გახდა, სადაც იუდეველებისა და წარმართების მიღება წყლით ნათლობის შედეგად იყო შესაძლებელი. მაშასადამე, იესო ქრისტეს მსხვერპლის მეშვეობით ხსნას დაედო სათავე, რომელიც ადამიანების წილხვედრი ხდება და ღმერთთან დაშორებისგან ათავისუფლებს მათ. „ქრისტეს მსხვერპლის წყალობით ადამიანის ურთიერთობა ღმერთთან ახალ ნიადაგზე დადგა. ამის შედეგად მიღწეული დამსახურება ცოდვისგან გათავისუფლებასა და ღვთისგან ხანგრძლივი დაშორების აღკვეთის შესაძლებლობას იძლევა: ‘... ძველი გადავიდა და ახლა ყოველივე ახალია. ყოველივე ღვთისგან არის, რომელმაც შეგვარიგა იესო ქრისტეს მეშვეობით და მოგვცა შერიგების მსახურება. იმიტომ, რომ ღმერთმა ქრისტეში შეირიგა სოფელი და არ ჩაუთვალა მათ მათი დანაშაულებანი და გვიბოძა შერიგების სიტყვა“ (2. კორ. 5, 17-19) – (კატ. 4. 4. 2).

იესოს სამსხვერპლო სიკვდილი და რწმენა.

იესოს სიკვდილის გამომსყიდველ ბუნებაზე პავლე რწმენასა და საქმეს, სახარებასა და რჯულს შორის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებულ მისეულ ახსნა-განმარტებებში ლაპარაკობს. ღმერთის წინაშე გამართლების მისაღწევად პავლე იესო ქრისტეს რწმენის მნიშვნელობას უსვამს ხაზს. სიმართლე ღმერთთან სიახლოვისა და ხსნის განცდას ნიშნავს.

მოციქული წერს: „რომელიც [იესო] წინდაწინ დააყენა ღმერთმა შენდობის მსხვერპლად რწმენის მეშვეობით, მისსავე სისხლში, რათა უწინ ჩადენილ ცოდვათა მიტევებით გამოჩენილიყო მისი სიმართლე ღვთის სულგრძელებაში, რომ ამჟამად გამოჩნდეს მისი სიმართლე, რათა იგი იყოს მართალი და იესოს მორწმუნის გამმართლებელი“ (რომ. 3, 25. 26). ის, რომ იესოს სიკვდილს გამომსყიდველი ბუნება აქვს, მხოლოდ რწმენით შეიცნობა და მხოლოდ რწმენით არის მისი მიღება შესაძლებელი. ადამიანს, როგორც რჯულის დამრღვევს, თავად არ ძალუძს, რომ სძლიოს ცოდვას ან გააუქმოს იგი. აქ უკვე იესო ქრისტე გამოდის ცოდვილის შუამდგომლად, როცა მის ნაცვლად თვითონ იღებს ცოდვას საკუთარ თავზე და იმ სიკვდილით კვდება, რომელიც პრინციპში ცოდვილს აქვს მისჯილი.

მაშასადამე, რწმენა ქრისტეს მსხვერპლის მიღების გაგების გასაღები და არსებითი ელემენტია,

რამეთუ საიდუმლოებისა და ცოდვათა მიტევების გამომსყიდველი ძალის განვითარება მხოლოდ რწმენით არის შესაძლებელი.

იესოს სამსხვერპლო სიკვდილი და წყლით წმიდა ნათლობა

იესოს ჯვარცმულ სიკვდილსა და წყლით ნათლობას შორის კავშირზე რომ. 6, 3-7-შია საუბარი. პავლე მოციქული იმაზე ლაპარაკობს, რომ მონათლული ქრისტეს სიკვდილის თანაზიარი ხდება. წყლით წმიდა ნათლობის საიდუმლოთი ქრისტიანი უშუალოდ უკავშირდება იესოს სიკვდილს. პავლე წერს: „ნუთუ არ იცით, რომ ყველანი, ვინც მოვინათლეთ ქრისტე იესოში, მის სიკვდილში მოვინათლეთ?“ [...] „რადგან ვიცით, რომ მასთან ერთად ჯვარს ეცვა ჩვენი ძველი კაცი, რათა გაუქმდეს ცოდვის სხეული და აღარ ვიყოთ ცოდვის მონები. ვინაიდან, ვინც მოკვდა, ცოდვისგან თავისუფალია“ (მუხლები 2. 6. 7).

წყლით წმიდა ნათლობასა და იესოს სამსხვერპლო სიკვდილს შორის ურთიერთკავშირი კატეხიზმოშიც რომ. 6, 3-8-ის კონტექსტშია გაშლილი: მონათლულს წილი აქვს იესოს სიკვდილსა და მის ახალ სიცოცხლეში. სულიერი თვალსაზრისით, ის სრულად ახორციელებს იმას, რაც იესო ქრისტეს გადახდა. როგორც ქრისტე ეცვა ჯვარს ადამიანთა ცოდვების გამო, ადამიანიც უნდა „მოუკვდეს ცოდვას“ მისთვის უარის თქმით. ნათლობა მორწმუნეს ქრისტეს მიერ გამოსყიდვის საქმეში რთავს ისე, რომ ქრისტეს სიკვდილი გოლგოთაზე მონათლულის „სიკვდილადაც“ იქცევა: ეს ღმერთისგან შორს ცხოვრების დასასრულსა და ქრისტეში ახალი სიცოცხლის დასაწყისს ნიშნავს. ნათლობა მორწმუნეს ცოდვის წინააღმდეგ ბრძოლის ძალებს ანიჭებს (რომ. 6, 3-8); კოლ. 2, 12. 13). ნათლობა „ქრისტეში შემოსვასაც“ ნიშნავს, რითაც შინაგანი კაცი პირველ ნაბიჯს დგამს განახლების გზაზე. „ვინაიდან, რაკი ყველა მოინათლეთ ქრისტეში, ქრისტეში შეიმოსენით“ (გალ. 3, 27). ამას საფუძვლად უდევს ძველი ცხოვრების წესის დათმობა და ქრისტეს სათნოებათა „შემოსვა“. „შემოსვა“ აღწერს იმას, რასაც ცნება „მონანიება“ გამოხატავს: მოქცევა ძველი არსიდან და უფლისკენ მიქცევა.

მაშასადამე, ლაპარაკია იმაზე, რომ ცხოვრება ღვთის ნებისამებრ წარვმართოთ. მონათლული ფიცს დებს, რომ თავის ცხოვრებას ქრისტეს მეუფებით წაიყვანს (კატ. 8. 1. 6). მოციქულები ჯვარცმულ ქრისტეს ქადაგებენ ანუ ჯვრის სიტყვას, რაც მათი მთავარი ამოცანაა. ისინი ყურადღებას ამახვილებენ ჯვრის გამომსყიდველ მნიშვნელობაზე და მოუწოდებენ: „შეურიგდით ღმერთს!“

იესოს სამსხვერპლო სიკვდილი და წმიდა ზიარება

კატეხიზმოში ასევე საუბარია ზიარებასა და იესოს სამსხვერპლო სიკვდილს შორის ურთიერთკავშირზე: „წმიდა ზიარება მოსაგონარი პურობაა, ვინაიდან ამ დროს, უპ. ყოვლისა, იესოს სიკვდილის გახსენება ხდება, როგორც უნიკალური და სამარადჟამო მოვლენისა. ამ მოვლენის გახსენება მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ იესო ქრისტე ჭეშმარიტი კაცი იყო, რომელმაც ნამდვილი სიკვდილი განიცადა“ (კატ. 8. 2. 8).

იმაზე, რომ წმიდა ზიარება იესოს სიკვდილის ხსოვნა და მისი უწყების გაგრძელებაა, კორინთელთა მიმართ პირველ ეპისტოლეშია ლაპარაკი: „რადგან ყოველთვის, როცა ამ პურს ჭამთ და ამ სასმისს სვამთ, უფლის სიკვდილს იუწყებით მისსავ მოსვლამდე“ (1. კორ. 11, 26). იესოს მსხვერპლის გახსენება და უწყება ხდება ყველგან, სადაც წმიდა ზიარება ტარდება და მისი ბუნებაა შენარჩუნებაული, როგორც მოსაგონარი პურობისა.

იესოს სამსხვერპლო სიკვდილი და ცოდვათა მიტევება

იესოს სამსხვერპლო სიკვდილით თავად ქრისტიანობას ჩაეყარა საფუძველი, ე. ი. სრულიად ახალ სტატუსს ღვთის წინაშე; აქედან გამომდინარე, ღვთისმსახურებაზე ქრისტეს მსხვერპლისა და ცოდვათა მიტევების უწყების ერთმანეთთან იდენტიფიცირება მიზანშეუწონელია. ქრისტეს მსხვერპლი ცოდვათა შენდობისა და ამ შენდობის განხორციელების საფუძველია, რამეთუ ცოდვათა შენდობა ამ მსხვერპლის მხოლოდ ერთი შედეგია, თუნდაც გარეგნულად ძალიან მნიშვნელოვანი.

კატეხიზმოში გარკვევით არის ნათქვამი, რომ საერთოდ ცოდვათა მიტევება და ქრისტეს მსხვერპლი მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული: „ქრისტეს სრულყოფილმა მსხვერპლმა ძველიაღთქმისეული მსხვერპლშეწირვა შეცვალა. იესო ქრისტე უცოდველად ცხოვრობდა. თავისი მსხვერპლით, საკუთარი სიცოცხლის ნებაყოფლობით გაღებით (იოან. 10, 17. 18), სატანის ძალა გატეხა და ეშმაკი და მისი საქმენი, კერძოდ, ცოდვა და სიკვდილი, დათრგუნა (2. კორ. 5, 21). მას შემდეგ ცოდვათა მიტევება, გამოსყიდვის აზრით (ებრ. 10, 18), და ცოდვისა და სიკვდილისგან ხსნა (რომ. 3, 24) შესაძლებელი გახდა“ (კატ. 12. 1. 8. 3).

ფოტო: მარსელ ფილდე

თავისი სიკვდილით იესო ქრისტემ ცოდვათა მიტევება ყველა იმათგანს მოუტანა, ვინც მას ეკუთვნის. ამის უშუალოდ აღქმა, პირველ რიგში, წყლით წმიდა ნათლობის დროს მემკვიდრეობითი ცოდვების ჩამორეცხვაში ხდება. ამ დროს ცოდვა, რომელიც რადიკალურად აშორებს ადამიანს ღვთისგან და ღმერთთან გაუცხოებას განაპირობებს, უქმდება - ე. ი. „ჩამოირეცხება". აქედან გამომდინარე, კატეხიზოში ნათქვამია: „ცოდვის ბატონობიდან საფუძვლიანი გათავისუფლება წყლით წმიდა ნათლობაში ხორციელდება, როცა მემკვიდრეობითი ცოდვების ჩამორეცხვა ხდება"(კატ. 2. 4. 3). ამაზე ნიკეა-კონსტანტინოპოლის მრწამსიც მიუთითებს, სადაც ნათქვამია: „აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატევებელად ცოდვათა."

გარდა ამისა, მკვდრეთით აღმდგარმა უფლმა მოციქულებს ცოდვათა მიტევების უწყება დაავალა (იოან. 20, 23). ეს დავალება, რომელსაც მოციქულები ახორციელებენ, მომნანიე ცოდვილის ცოდვის ტვირთისგან გათავისუფლებას ემსახურება, რაც მან ბოროტი საქმეებითა და ზრახვებით იტვირთა. ამასთან დაკავშირებით კატეხიზმო ამბობს: „ცოდვათა მიტევების უწყება აუცილებელია. იესო ყველას ცალ-ცალკე მიუტევებდა ცოდვებს (იხილე ლუკ. 7, 48).

ცოდვათა მიტევება შენდობითი ლოცვით ხდება, რომელსაც ღვთისმსახურებაზე უფლებამოსილი მღვდელმსახური წარმოთქვამს. ცოდვათა მიტევება, როგორც წესი, მთელ თემს ეუწყება ღვთისმსახურებაზე. მაგრამ ის ზემოქმედებს მხოლოდ მასზე, ვინც რწმენით იღებს მას და სათანადო წინაპირობებს ასრულებს.

იესოს სახელით ცოდვათა მიტევების უწყების უფლებამოსილება შერიგების მსახურებაში ძევს ანუ მოციქულობაში (იოან. 20, 23)" (კატ. 12. 1. 8. 7).

კატეხიზმო ხაზგასმით მიუთითებს იმაზეც, რომ ღვთისმსახურებაზე წარმოთქმული ცოდვათა მიტევება ავტომატურად არ ხორციელდება: „იესოს სახელით და უფლებამოსილებით ნაუწყები შენდობითი ლოცვა, რომელსაც რწმენით მიიღებს მორწმუნე, აუქმებს ცოდვას" (კატ. 12. 1. 8. 8). ცოდვათა მიტევება „ზიარების ელემენტების კურთხევის წინ, ემსახურება იმას, რომ შესაძლებელი გახდეს წმიდა ზიარების ღირსეულად მიღება" (კატ. 8. 2. 14). ნაუწყები და რწმენით მიღებული ცოდვათა მიტევების შედეგად ადამიანი რწმუნდება იმაში, რომ მთელი ცხოვრება თან გაჰყვება ღვთის მადლი და წყალობა. ღმერთი ცოდვილისკენ იხრება და ისევ და ისევ ხელახლა ათავისუფლებს მას დანაშაულისგან.

სატიტულო ფურცელი
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი, იუბერლანდშტრასე 243, 8051 ციურიხი / შვეიცარია
შპს ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა, ფრანკფურტერშტრასე 233, 63263 ნოი-იზენბურგი / გერმანია
რედაქტორი: პეტერ იოჰანინგი



მოციქულების ლუკას კარლსონ სუპოკის (1977 წ.) და პატრიკ ელი სილაბეს (1985 წ.) ორდინაცია

მოციქულების კურდუელ მუკვატის (1961 წ.) და კოლინზ შაზილვა ლუჰანგას (1980 წ.) ორდინაცია

სამხ. მოციქულ რაულ დე ოკას დამსახურებულ პენსიაში გაშვება (ბრაზილია)

ფოტოები: წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილის ახსე (1), ზამბიის ახსე (2)

ცვლილებები მოციქულთა წრეში

მხოლოდ რამოდენიმე პენსიაში გაშვება და ორდინაცია მოციქულთა წრეში - 2019 წლის მეორე ნახევარი შედარებით მშვიდი იყო, მოხდა მხოლოდ მოციქულთა ტრადიციული მონაცვლეობა. ამჟამად მსოფლიოში 349 მოციქული მოღვაწეობს.

მთლიანობაში 249 700 მღვდელმსახური მოღვაწეობს დიაკვნისა თუ მღვდლის სტატუსით. ისინი მოციქულებთან ერთად ზრუნავენ ერთმორწმუნე და-ძმებზე, რომლებიც მსოფლიოში არსებული 58 500 თემის წევრები არიან. მოციქულებს შორის 325 მოციქულია, 8 სამხ. მოციქულის თანაშემწე, 15 სამხ. მოციქული და პირველმოციქული.

ორდინაციები და დავალებანი

შაბათს, 2019 წლის 6 ივლისს, სამხ. ხუცესმა მუკოკა ჟან კაბალამ (1977 წ.) მოციქულის სასულიერო თანამდებობა მიიღო. პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა ეს მღვდელმოქმედება ინკისიში (კონგოს დრ) ჩაატარა.

სამხ. მოციქულმა ზოკომ (1969 წ.) სამხ. მოციქული ჩარლზ ს. ნდანდულა შეცვალა. კვირას, 2019 წლის 21 ივლისს, ღვთისმსახურებაზე, პირველმოციქულმა შნაიდერმა იგი, მანამდე სამხ. მოციქულის თანაშემწე, სამხ. მოციქულად დანიშნა ზამბიის, მალავისა და ზიმბაბვეს სამოციქულო მხარეებისათვის. ახალ სამხ. მოციქულს სამხ. მოციქულის თანაშემწეები რობერტ ნზამბა და არნოლდ მჰანგო დაეხმარებიან.

კვირას, 2019 წლის 22 სექტემბერს, ეკლესიის უმაღლესმა სასულიერო პირმა ქრისტჩერჩში (ახალი ზელანდია) ჩატარებულ ღვთისმსახურებაზე სამხ. ხუცესები პატრიკ ელი სილაბე (1985 წ.) და ლუკას კარლსონ ზუპოკი (1977 წ.) მოციქულებად აკურთხა ხელდასხმით. მათ მოციქული ზუჰუკე ჰუნგიტო შეცვალეს, რომელიც 2018 წლის ოქტომბერში გულის შეტევით გარდაიცვალა, როცა ერთმორწმუნე და-ძმებთან მიემგზავრებოდა.

სამხრეთ გერმანიის სამხ. ეკლესიის მოციქულად საერთშორისო ეკლესიის მეთაურმა სამხ. მახარებელი მათიას ზარგანტი (1968 წ.) აკურთხა. ეს მღვდელმოქმედება პირველმოციქულმა კვირას, 8 დეკემბერს, ფელბახში (გერმანია) ჩატარებულ ღვთისმსახურებაზე განახორციელა. მოციქულმა ზარგანტმა მოციქული ვოლფგანგ ცენკერი შეცვალა. პარასკევს, 2019 წლის 13 დეკემბერს, კურდუელ მუკვატი (1961 წ.) ბოცვანის მოციქულად

იქნა ნაკურთხი, კოლინზ შაზილვა ლუჰანგა (1980 წ.) კი - ზამბიის მოციქულად. ორდინაციები პირველმოციქულმა ვალვის ბეი-ში (ნამიბია) ღვთისმსახურებაზე ჩაატარა.

დამსახურებულ პენსიაში გაშვება

შაბათს, 2019 წლის 6 ივლისს, პირველმოციქულმა შნაიდერმა ინკისიში ჩატარებულ ღვთისმსახურებაზე მოციქული ინოკენტი კაბუელა (1954 წ.) ხანდაზმულობით განპირობებულ პენსიაზე გაუშვა. 37 წლის განმავლობაში მსახურობდა იგი კონგოს დრ-ის (სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილი) სამხარეო ეკლესიაში მღვდელმსახურად, მათგან 11 წელი მოციქულად.

დამსახურებულ პენსიაში გავიდა სამხ. მოციქული ჩარლზ ს. ნდანდულა (1953 წ.). საერთაშორისო ეკლესიის მეთაურმა კვირას, 2019 წლის 21 ივლისს, ლუსაკაში (ზამბია) ღვთისმსახურება ჩაატარა და მოციქული აქტიური მსახურებისგან გაათავისუფლა. ჩარლზ ს. ნდანდულა 35 წლის განმავლობაში მსახურობდა მღვდელმსახურად, მათგან 14 წელი სამხ. მოციქულად ზამბიის, მალავის, ზიმბაბვეს მხარეებისათვის.

47 წლის საეკლესიო მოღვაწეობის შემდეგ ეკლესიის მეთაურმა ბრაზილიისა და ბოლივიის სამხ. მოციქული შაბათს, 2019 წლის 4 აგვისტოს, დამსახურებულ პენსიაზე გაუშვა. რაულ მონტეს დე ოკა (1953 წ.) თითქმის ხუთი ათეული წლის განმავლობაში სხვადასხვა სასულიერო თანამდებობებზე მუშაობდა, მათგან 16 წელი მოციქულის რანგში. ამავე დღეს ბრაზილიისა და არგენტინის სამოციქულო მხარეები სამხრეთ ამერიკის სამოციქულო მხარეს შეუერთდა. ამ მხარის ხელმძღვანელობა სამხ. მოციქულ ენრიკო ედუარდო მინიოს დაევალა. პირველმოციქულის დავალებით მოციქულმა კინდანგუ ვინგიმ კვირას, 2019 წლის 20 ოქტომბერს, მუში-ში (კონგოს დრ) მოციქული ჟან-ბაპტისტ მატერი (1959 წ.) დამსახურებულ პენსიაზე გაუშვა. 20 წლის განმავლობაში მსახურებდა მოციქული ერთმორწმუნე და-ძმებისათვის ბანდუნდუს რეგიონში.

მოციქულები ფოლკერ კიუნლე (1953 წ.) და ვოლფგანგ ცენკერი (1953 წ.) კვირას, 2019 წლის 8 დეკემბერს, ფელბახში (გერმანია) ჩატარებულ ღვთისმსახურებაზე დამსახურებულ პენსიაზე გავიდნენ. ეს მოციქულები მრავალი წლის განმავლობაში მსახურებდნენ გერმანიასა და აფრიკის სხვადასხვა ქვეყნებში.

გარდაცვალება

სამშაბათს, 2019 წლის 1 ოქტომბერს, ავტოკატასტროფაში დაიღუპა მოციქული კაპოტე მარკოზ მისელო (1970 წ.). მოციქულ მისელოს დარჩა მეუღლე ტერეზა ვერონიკა ლინო და 7 შვილი. ის სამხ. მოციქულ ჟოაო უანაქე მისელოს ღვიძლი ძმა იყო. მოციქული მისელო სხვადასხვა სასულიერო თანამდებობებზე მუშაობდა, ვიდრე 2008 წლის ნოემბერში მოციქულად არ იქნა კურთხეული ანგოლის სამოღვაწეო მხარისათვის.

სამოციქულო მხარეები

ახალსამოციქულო ეკლესია 15 სამოციქულო მხარედ არის დაყოფილი მსოფლიო მასშტაბით. ამ მხარეებს სამხ. მოციქულები ხელმძღვანელობენ. პასუხისმგებელი პირები არიან შემდეგი მოციქულები:

– მიხაელ დავიდ დეპნერი (1961 წ.) - კონგოს დრ-ის დასავლეთი ნაწილი
– მიხაელ ერიხი (1959 წ.) - სამხრეთ გერმანია
– იოსებ ოპემბა ეკჰუია (1969 წ.) - აღმოსავლეთ აფრიკა
– ედი ინსნუგროჰო (1963 წ.) - სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია
– ლეონარდ რიჩარდ კოლბი (1956 წ.) - აშშ
– რიუდიგერ კრაუზე (1960 წ.) - ჩრდილოთ და აღმოსავლეთ გერმანია
– ჯონ ლესლი კრილი (1956 წ.) - აფრიკის სამხრეთ ნაწილი
– ენრიკე ედუარდო მინიო (1960 წ.) - სამხრეთ ამერიკა
– ვოლფგანგ ნადოლნი (1956 წ.) - ბერლინ-ბრანდენბურგი
– პეტერ შულტე (1963 წ.) - წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილი
– კუბუბა ზოკო (1969 წ.) - ზამბია, მალავი, ზიმბაბვე
– რაინერ შტორკი (1958 წ.) - დასავლეთ გერმანია
– ჩიში ჩისეკედი (1972 წ.) - კონგოს დრ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი
– მარკ ვოლი (1959 წ.) - კანადა
– იურგ ცბინდენი (1958 წ.) - შვეიცარია

ზოგიერთ სამხ. მოციქულს სამხ. მოციქულის თანაშემწე ეხმარება, რომლებიც, როგორც წესი, შესაბამის ქვეყნებში მოღვაწეობენ:

– დევიდ დევერაი (1959 წ.) - ინდოეთი
– ფრანკ შტეფან ძური (1959 წ.) - კანადა
– ჯონ უილიამ ფენდტი (1957 წ.) - აშშ
– არნოლდ ნდაკონდვა მფანგო (1957 წ.) - მალავი
– ჟოაო უანაქე მისელო (1965 წ.) - ანგოლა
– მანდლა პატრიკ მკჰვანაცი (1963 წ.) - აფრიკის სამხრეთ ნაწილი
– რობერტ ნზამბა (1962 წ.) - ზამბია
– ჯონ სობოტკა (1956 წ.) - კანადა

პროგრამა

02. 04. 2020 წ.	ბიაკი (პაპუა)
05. 04. 2020 წ.	მანადო (ინდონეზია)
10. 04. 2020 წ.	ვილისაუ (შვეიცარია)
12. 04. 2020 წ.	შვებიშ-ჰალი (გერმანია)
19. 04. 2020 წ.	ლიუნებურგი (გერმანია)
26. 04. 2020 წ.	ბლუმფონტეინი (სამხრეთ აფრიკა)
02. 05. 2020 წ.	პრაღა (ჩეხეთი)
03. 05. 2020 წ.	ლინცი (ავსტრია)
10. 05. 2020 წ.	კიევი (უკრაინა)
24. 05. 2020 წ.	ოსნაბრიუკი (გერმანია)
31. 05. 2020 წ.	ბუენოს აირესი (არგენტინა)
13. 06. 2020 წ.	ლილონგვე (მალავი)
14. 06. 2020 წ.	ჰარარე (ზიმბაბვე)
25. 06. 2020 წ.	ბონეირი (ნიდერლანდების ანტილიის კუნძულები)
28. 06. 2020 წ.	პარამარიბო (სურინამი)

New Apostolic Church
International